




# ხაშურის მთაწმბე



№48-49 (249-250)

18 დეკემბერი, ოთხშაბათი,

2019 წელი

საჯაროობა დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო, ნებისმიერ დოკუმენტს, იქნება ეს დადგენილება, განკარგულება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი, საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. 16 ნოემბერს, რიგგარეშე სესიაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის 2020 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რომლის პროექტს ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო. დღეს გთავაზობთ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომლითაც მოსახლეობა გაეცნობა თუ რა პრიორიტეტებია 2020 წლის განმავლობაში და რა პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება იგეგმება.

## განმარტებითი ბარათი ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 16 852,3 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 16 852,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 2 946,2 ათასი ლარით. შემოსულობების დაგეგმვა განხორციელდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 4 ოქტომბრის №04-03/107206 წერილის საფუძველზე და 2019 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. 2020 წლის პროგნოზირებული დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2020 წელს მიიმართება და ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 12 329,4 ათას ლარს. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 700,0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის ბიუჯეტის გადასახადები (ქონების გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადი) დაგეგმილია 15 029,4 ათასი ლარით, რაც, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 3 165,9 ათასი ლარით. საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიხნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 225,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები -1 497,9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივატიზაციიდან) - 100,0 ათასი ლარით.

შესაბამისად, 2020 წლის ბიუჯეტის გადასახადების სიდიდე (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) განსაზღვრულია 16 852,3 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის ბიუჯეტის გადასახადები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- შრომის ანაზღაურება - 2 053,6 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 476,5 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 6 300,6 ათასი ლარი;
- გრანტები - 1023,0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 799,8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 706,8 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 293,6 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 100,0 ათასი ლარი.

2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია რიგი პროგრამებისა და ღონისძიებების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, კერძოდ:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 275,0 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტების განათების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 374,2 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებების დასაფინანსებლად - 926,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 20,0 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია - 54,0 ათასი ლარი, უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 63,0 ათასი ლარი, გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 250,0 ათასი ლარი,

გაზრდილია ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება. პროგრამა ვრცელდება 18 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 2026 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფლევი, ბიჯნისი, წაღვლი) სკოლამდელი აღზრდის ადგილობრივი სადამზრდელო ჯგუფების ფუნქციონირება. სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად, 2020 წლის ბიუჯეტში, გათვალისწინებულია 2 300,0 ათასი ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 228,2 ათასი ლარი, პროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები და სასწავლო პროცესს გადის 496 მოსწავლე. პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამივე სამუსიკო სკოლის ელექტრონიკის, გათბობის ხარჯის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, 500,0 ათასი ლარით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სა-

დაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1359 ბავშვი.

გაზრდილია, აგრეთვე, სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება. 2020 წლის ბიუჯეტით სპორტული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 260,0 ათასი ლარი, კულტურული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 155,5 ათასი ლარი, ხოლო ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 38,5 ათასი ლარი.

2020 წლის ბიუჯეტით, დაფინანსდება, აგრეთვე, მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 218,6 ათასი ლარით, ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 179,8 ათასი ლარით, კულტურის ცენტრების ხელშეწყობის პროგრამა - 325,1 ათასი ლარით, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა - 42,8 ათასი ლარით, ხოლო რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდება 100,0 ათასი ლარით.

დღევანდელი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიხნობრივი ტრანსფერიდან, 2020 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 125,0 ათასი ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა დაფინანსდება - 95,0 ათასი ლარით და სარიტუალო მომსახურება - 5,0 ათასი ლარით.

დაგეგმილია, აგრეთვე, სოციალური პროგრამების დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებიდან, რისთვისაც 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 040,0 ათასი ლარი, კერძოდ:

უმწიფოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა დაფინანსდება 150,0 ათასი ლარით;

ასი და მეტი წლის უზუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 2,0 ათასი ლარით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 38,2 ათასი ლარით;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მემართა ხსოვნის უკვდავოფის ხარჯები - 20,6 ათასი ლარით;

საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები - 30,0 ათასი ლარით; იგეგმება, აგრეთვე, სახელოვნებო სკოლებში რეგისტრირებული დევნილის და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეების ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან განთავისუფლება. აღნიშნული პროგრამა ფინანსდება - 23,0 ათასი ლარით;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა - 24,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით გათვალისწინებულია 752,2 ათასი ლარი;

2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ქუჩების მოასფალტება - 2265,5 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით განხორციელდება დაბა სურამში ტონკაძის, სარაჯიშვილის და ტაბიძის ქუჩების და სოფელ ზემო აქვისში გზის მოასფალტება. დასრულდება სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზების მოასფალტება (რგფ-ის თანადაფინანსება), სოფელ ბიჯნისში დასრულდება წყლის სათავე ნაგებობების და ქსელის რეაბილიტაცია - (რგფ-ის თანადაფინანსება), განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადების რეაბილიტაცია - 300,0 ათასი ლარი, ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - 400,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ ნაბახტევიში და მცხეთიჯვარში სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა 200,0 ათასი ლარის ოდენობით, ამავდროულად, დასრულდება ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 1000,0 ათასი ლარი (მგფ-ის თანადაფინანსება, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი-გრანტი, რაც რეალურად მუნიციპალიტეტის არაფინანსურ აქტივებს შეადგენს) 2020 წლის ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტის ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე მოეწყობა პარკები და სკვერები 300,0 ათასი ლარის ღირებულების ოდენობით, გათვალისწინებულია მდინარეების და არხების გაწმენდის ღონისძიებები თანხით 300 ათასი ლარი, სამშენებლო სამუშაოების შედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და ექსპერტიზის ხარჯები - 421,5 ათასი ლარი, განხორციელდება და დასრულდება ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 750,0 ათასი ლარი, ხაშურში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის დასრულება 36,0 ათასი ლარი. ამრიგად, 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა შემოსულობებმა მოგვცა წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობა.

ლელა მაჭარაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება № 32**

2019 წლის 16 დეკემბერი, ხაშური

**ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის  
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლი 1-ლი და მე-2 პუნქტის და 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე

მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილება. (ვებგვერდი [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 19/12/2018; 190020020.35.143.016537).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან. მიხეილ ჯანაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1
<b>ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი</b>
თავი I
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მანკვებლები მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:
ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 172.3	21 602.9	7 781.2	13 821.7	16752.3	0.00	16752.3
გადასახადები	3 373.7	11 863.5	0.0	11 863.5	150029,4	0.00	15029,4
გრანტები	10 429.3	8 106.8	7 781.2	325.6	225.0	0.00	225.0
სხვა შემოსავლები	1 369.3	1 632.6	0.0	1 632.6	1497,9	0.00	1497,9
ხარჯები	9 425.6	11165.3	318.3	10846.9	12458,7	0.00	12458,7
შრომის ანაზღაურება	1 860.8	1 915,5	0.0	1 915,5	2053,6	0.00	2053,6
საქონელი და მომსახურება	1 108.9	1450.6	180.9	1269.8	1476.5	0.00	1476.5
პროცენტი	89.0	76.0	0.0	76.0	98,4	0.00	98,4
სუბსიდიები	5 150.4	5 675.2	0.0	5 675.2	6300,6	0.00	6300,6
გრანტები	19.აგვ	320.2	0.0	320.2	1023	0.00	1023
სოციალური უზრუნველყოფა	857.2	829.4	0.0	829.4	799,8	0.00	799,8
სხვა ხარჯები	339.5	898.3	137,5	760.8	706,8	0.00	706,8
საოპერაციო სალდო	5 746.7	10437.7	7 462.9	2974.8	4293,6	0.00	4293,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 826.1	1046.1	8 486.0	3560.1	4193,6	0.00	4193,6
ზრდა	6 390.2	12705.1	8 486.0	4219.1	4293,6	0.00	4293,6
კლება	564.1	659.0	0.0	659.0	100.0	0.00	100.0
მთლიანი სალდო	-79.4	-1 608.4	-1 023.1	-585.3	-100.0	0.00	-100.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-82.1	-1 662.4	-1 023.1	-639.3	0.00	0.00	0.00
ზრდა	847.4	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	847.4	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
კლება	929.5	1 662.4	1 023.1	639.3	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	929.5	1 662.4	1 023.1	639.3	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-2,7	-54	0.0	-54	-100.0	0.00	-100.0
კლება	2,7	54	0.0	54	100.0	0.00	100.0
საშინაო	2,7	54	0.0	54	100.0	0.00	100.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 736.4	22 261.9	7 781.2	14 480.7	16852.3	0.00	16852.3
შემოსავლები	15 172.3	21 602.9	7 781.2	13 821.7	16752.3	0.00	16752.3
არაფინანსური აქტივების კლება	564.1	659.0	0	659.0	100.0	0.00	100.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0	0	0	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	0	0.00	0.00	0.00
გადასახდებები	15 818.5	23 924.3	8 804.3	15 120.0	16852.3	0.00	16852.3
ხარჯები	9 425.6	11 165.3	318.3	10 846.9	12458,7	0.00	12458,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 390.2	12 705.1	8 486.0	4 219.1	4293,6	0.00	4293,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0	0	0.00	0
ვალდებულებების ცვლილება	2,7	54	0	54	100.0	0.00	100.0
ნაშთის ცვლილება	-82.1	-166.4	-1 023.1	-639.3	0	0.00	0

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16752.3 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 172.3	21 602.9	7 781.2	13 821.7	16752.3	0.00	16752.3
გადასახდებები	3 373.7	11 863.5	0	11 863.5	15029,4	0.00	15029,4
გრანტები	10 429.3	8 106.8	7 781.2	325.6	225.0	0.00	225.0
სხვა შემოსავლები	1 369.3	1 632.6	0	1 632.6	1497.9	0.00	1497.9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდებები  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდებები 15029.4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახდებები	3 373.7	11 863.5	0.0	11 863.5	15029,4	0.00	15029,4
საშემოსავლო გადასახადი	897.6	0.0	0,0	0.0	0,0	0.00	0,0
ქონების გადასახადი	2 476.2	2 000.0	0.0	2 000.0	2700.0	0.0	2700.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 202.6	1 240.0	0.0	1 240.0	1644.8	0.0	1644.8
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	412.7	412.7	0.0	0.0	0,0	0.0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40.9	5.0	0.0	5.0	22.0	0.0	22.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	172.6	165.0	0.0	165.0	165.0	0.0	165.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	647.4	590.0	0.0	590.0	868.2	0.0	868.2
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	9 863.5	0.0	9 863.5	12329.4	0.0	12329.4

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 225.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	<b>10 429.3</b>	<b>8 106.8</b>	<b>225.0</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.00	0.0	0.00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 429.3	7 781.2	225.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 365,8	325.6	225.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	7 140,8	0	0.00
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	225	325.6	225.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 962.8	7781.2	0.00
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2 962.8	5 846.3	0.00
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0	844	0.00
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.00	0.0	0.00

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1497.9 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1 369.3</b>	<b>1 632.6</b>	<b>1497.9</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	22.მაის	251.1	250.0
პროცენტები	0.00	0.00	0.00
დივიდენდები	0.00	0.00	0.00
რენტა	225.5	251.1	250.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	208.8	241.1	240.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16,7	10,0	10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	373.9	426,0	290.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	348.9	400,0	250.4
სანებართვო მოსაკრებელი	99.9	50	50.0
სატენდერო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,2	0.0	0.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	106.2	150.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	141.6	200	200.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25.0	26.0	40
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	25.0	26	40
ჯარიმები, სანქციები და საურავები	673.6	840,5	957.5
ნებაცოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	96.4	115.0	0.0

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12458,7 ათასი ლარის ოდენობით, ზრდა წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან განპირობებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „გრანტები“ ზრდით, რამდენადაც ასიგნებები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის აქტივების პოტენციური ზრდისათვის.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>ხარჯები</b>	<b>9 425.6</b>	<b>11 165.3</b>	<b>318.3</b>	<b>10846.9</b>	<b>12458,7</b>	<b>0.0</b>	<b>12458,7</b>
შრომის ანაზღაურება	1 860.8	1 915,5	0,0	1915.5	2053,6	0.0	2053,6
საქონელი და მომსახურება	1 108.9	1 450.6	180,9	1269.8	1476.5	0.0	1476.5
პროცენტი	89.0	76	0,0	76	98,4	0.0	98,4
სუბსიდიები	5 150.4	5 675,2	0,0	5675.2	6300	0.0	6300
გრანტები	19,8	320.2	0,0	320.2	1023.0	0.0	1023.0
სოციალური უზრუნველყოფა	857.2	829,4	0,0	829.4	799,8	0.0	799,8
სხვა ხარჯები	339.5	898.2	137,5	760.8	706,8	0.0	706,8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4193,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:  
 ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4293,6 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	17,1	81.7	21,7
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,2	0.0	0.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5 759.2	10 716.5	4271,9
განათლება	510.7	1065.3	0.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	102.0	609,6	0.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	26,6	232.0	0.0
<b>ს უ ლ</b>	<b>6 958,9</b>	<b>12705.1</b>	<b>4293,6</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	564.1	659.0	100.0
ძირითადი აქტივები	306,5	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	257.6	659.0	100.0
მიწა	257.6	659.0	100.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 394.5	2 700.5	2809.6
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 392.9	2 622.9	2709,7
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 392.9	2 600.9	2679,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	22.0	30,00
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1,6	77.6	100.0

702	თავდაცვა	122.2	125.0	125,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0.0	0,0	
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 484.6	8 271.9	2741.0
7045	ტრანსპორტი	4 046.9	6 406.2	2265,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 046.9	6 406.2	2265,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	437.7	1 865.7	475,5
705	გარემოს დაცვა	1 215.0	1 250.3	1476
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	924.4	895	926
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	36,0	125,5	0.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	5,1	20	300
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	249.6	209,9	250.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 210.6	2964.5	1862.1
7061	ბინათმშენებლობა	8,7	226.5	300
7063	წყალმომარაგება	282.7	915.1	238,9
7064	გარე განათება	692.3	710.7	794,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	227.0	1112.3	529.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	94,3	327.3	95,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	94,3	327.3	95,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 016..9	43797.9	4298.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 892.2	1403.0	1960.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 039.6	2020.3	2200.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	85.2	374.7	138.5
709	განათლება	2 262.1	3 060.6	2 300,00
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 262.1	2 050.0	2 300,00
7092	ზოგადი განათლება	0.0	1010.6	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	1010.6	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0,0	0.0
710	სოციალური დაცვა	1 015.6	1 071.4	1 045,00
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0,0	0.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	2.0	2,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	800.6	813,4	813.4
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	0.0	0,0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	161.1	196.0	200.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	52.9	63,0	29.0
	<b>სულ</b>	<b>15 815.9</b>	<b>23572.4</b>	<b>16 752.3</b>

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -100.0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 100.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**  
 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდებლების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**  
 1. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - 225,0 ათასი ლარი მიიღონ:  
 ა) „სახოგადობრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;  
 ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 125,0 ათასი ლარი;  
 გ) სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარი;  
 2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**  
 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II  
**ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**  
 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)  
 მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში, ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე, ხორციელდება მოვლა-შენახვისა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)  
 პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება გზების მოასფალტება, დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება - რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, აგრეთვე განხორციელდება გზების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)  
 დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის, განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება -რეაბილიტაცია და დაბა სურამში ჭონქაძის, სარაჯიშვილის, ტაბიძის ქუჩების და სოფელ ახვისში გზების მოასფალტება.

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)  
 პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია საინტარჯო პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, საინალფრე არხების მოწყობა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია და ბინათმშენებლობა. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)  
 მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მოწყობიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერგიით უზრუნველყოფას.

ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)  
 ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორღიურებისა და კიუვუტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის კვითრის დარიგების მომსახურება.

ბ.გ. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)  
 წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სათავე-ნაგებობების (დაბა სურამში ორხევის, სოფლების ბიჯნისის, წრომის, წადელის, ქვიშეთის) ზედამხედველობისა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დაფინანსება, გათვალისწინებულია, აგრეთვე, სოფელ ბიჯნისში წყლის სათავე-ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაციის დასრულება.

ბ.გ. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია, ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში, ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა.

ბ.ზ. უმეტავალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ხორციელდება ტერიტორიიდან მათი იზოლაცია მოვლა-პატრონობა და თავშესაფარში გადაყვანა.

ბ.თ. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია.

დ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების, სკვერების და სასაფლაოების მოწყობის, მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ხოლო დღესასწაულების დროს ხაშურში გაფორმებითი ღონისძიებები, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციის და ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის დასრულება.

დ.ა. მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორღ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიხვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეჭვას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება.

დ.ბ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ ნაბახტევში და მცხეთიჯვარში სტადიონების მოწყობა - სამუშაოები, დაგეგმილია „ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია“.

დ.გ. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის დასრულება.

დ.დ. ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციის დასრულება.

დ.ე. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.

დ.ვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა.

დ.ზ. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები, დაგეგმილია აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა, დაგეგმილია აგრეთვე 2019 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

დ.თ. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)  
 ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 18 საბავშვო ბაღი და სკოლამდელ განათლებას იღებს 2026

აღსაზრდელო. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფლევი, ბიჯინის, წაღელი) სკოლაშენი ადრდის აღტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობას და მათში ცხოვრების წინსავლი წესის დამკვიდრებას და ჯანსაღი თაობის აღზრდას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერი ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

**ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სასპორტო სკოლა და სპორტული ღონისძიებები.

**ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

**ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების წინსავლი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1359 აღსაზრდელო.

**ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადეტალური დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

1. 3-8 მარტს დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება და ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
2. წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;
3. 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
4. 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება და ვეტერანებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
5. 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
6. ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
